სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/44

ქ. თბილისი

29 აპრილი 2026 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სტიპენდიების ფაკულტეტებზე გადანაწილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, ,, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 6 თებერვლის N129011 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 17 აპრილის N 449551 ბრძანების, სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსის ზაზა ბუაჩიძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტებულ საბაკალავრო და ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხულ სტუდენტთა სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად, 2026 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სტიპენდიები განაწილდეს ფაკულტეტებზე სტუ-ის ბაკალავრიატის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად:

№	ფაკულტეტი	სტიპენდიანტთა რაოდენობა
1	სამშენებლო	**96**
2	ენერგეტიკის	**78**
3	სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების	**88**
4	აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების	**131**
5	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის	**69**
6	არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის	**74**
7	სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების	**100**
8	ინფორმატიკის და მართვის სისტემების	**236**
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	**16**
10	ბიზნესტექნოლოგიების	**120**
11	სოციალურ მეცნიერებათა	**49**
	სულ	**1057**

2. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს ფაკულტეტებზე 2025–2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 17 აპრილის N 449551 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისრტაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**